ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01200551911**
თარიღი: **24/02/2020**
პინი: **6131**

ადრესატი: შპს "სტილი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204958812
მისამართი: ჭონქაძის ქ. #10 "ა', ბინა 28

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური") განიხილა თქვენი 2020 წლის 7 თებერვლის #10/01200038707-18 განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტაცია (ექსპერტ გიორგი ტივაძის საექსპერტო დასკვნა,), რომლითაც ითხოვთ შპს „სტილის" საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. #36ა ს.კ.: 01.13.01.018.118) სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით (დასტურდება სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 15 იანვრის **#4823407** ბრძანებით) მწვანე ნარგავის გადარგვის ნებართვას.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის" (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება") მე-2 თავის 21-ე მუხლის საფუძველზე და წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან მწვანე ნარგავი ირგვება იმავე ტერიტორიაზე, არ ირღვევა ადგილზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა და შესაძლებლობის ფარგლებში მცენარის გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, სამსახური გასცემს 1 ძირი კაკალის (#1 დიამეტრით 24სმ) იმავე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვას მას შემდეგ, რაც მოიპოვებთ სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის ნებართვას და წარმოადგენთ გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სილქნეტი
SILKNET

№ 1822/24-8 "31" 03 2020

შპს „სტილი“-ს დირექტორს
ბატონ დიმიტრი მოსულიშვილს
ქ. თბილისი
ტელ: 599900018

ბატონო დიმიტრი,

თქვენგან შემოსული წერილი (8-2407– 27/03/2020)-ს პასუხად, რომელშიც აღნიშნულია, რომ გეგმავთ მრავალფუნქციური შენობის მშენებლობას ქ. თბილისში, ლუბლიანას ქ. #36ა-ში, მიწის ნაკვეთზე ს.კოდით 01.13.01.018.118. გვთხოვთ ჩვენი პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე ს.კოდით 01.13.01.018.118 არ გადის სს „სილქნეტი“-ს კომუნიკაციები. გადის მიმდებარედ. სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ სამშენებლო სამუშაოები, თქვენს მიერ წარმოდგენილ გეგმაში შენობის განთავსების ადგილის გათვალიწინებით. ასევე ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ნაკვეთზე სამუშაოების წარმოებისას აღმოჩნდება სს „სილქნეტის“ კუთვნილი ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს “სილქნეტის“ წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

წარმოადგინოს სამუშაოების ამსახველი პროექტი სს „სილქნეტში“ შეთანხმების მისაღებად.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი
ასტამურ აჩბა

გაცემის თარიღი

04.05.2020

განხილვის საგანი :	ქონების გამოყენებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	დიმიტრი მოსულიშვილი 01015002965
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1742938
გასაჩივრების წესი :	გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1742938

დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 01.00.135) გამოყენებაზე, მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ: #01.13.01.018.118) სამშენებლო პროექტის შესათანხმებლად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარსადგენად.

საფუძველი:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მთავრობის 2014 წლის 22 დეკემბრის #19-73 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის #13-42 დადგენილება

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი